



## თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი №37-ს  
§01

04 დეკემბერი, 2020 წელი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით  
თბილისის საქალაქო სასამართლოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 01 დეკემბრის №4 რეკომენდაციის გათვალისწინებით

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თანამშრომლებმა უზრუნველყონ:

ა) მათ წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის გადადება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით, გარდა შემჭიდროვებულ ვადებში განსაზღვრული საქმეებისა;

ბ) საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

დ) სამოქალაქო საქმეებზე გზავნილებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მხარეებისათვის ჩაბარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ე) სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა, მათ შორის, მასმედიის წარმომადგენელთა რაოდენობის შეზღუდვა, 2-მეტრიანი დისტანციის გათვალისწინებით და აღნიშნულის მიზნით მოხდეს დამსწრე პირთა განთავსება სხდომათა დარბაზში,

სკამებზე არსებულ შესაბამისი პირობითი ნიშნების (სტიკერების/ნახაზების) ადგილას. 2 - მეტრიანი დისტანციის დათქმა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გავრცელდეს შესაბამისი სხდომის დარბაზის ტევადობის გათვალისწინებით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოს:

ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში შესვლისას მოქალაქისათვის ტემპერატურის შემოწმება და სადეზინფექციო საშუალებებით ხელების დამუშავება, სასამართლოს შენობაში მოქალაქეთა ნაკადის მართვა და მოქალაქეთა (მათ შორის მასმედიის წარმომადგენელთა) არამიზნობრივი გადაადგილების შეზღუდვა;

ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში და თბილისში, ბულაჩაურის ქ. №7ა მისამართზე მდებარე სასამართლოს შენობის მოქალაქეთა მისაღებში სასამართლოს მომხმარებელთა რაოდენობის არაუმეტეს 10 ერთეულამდე შეზღუდვა;

გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ვიზიტორების (მოქალაქეების) ინფორმირება პირბადის სავალდებულო ტარებასთან დაკავშირებით, რომლის გარეშეც ისინი არ დაიშვებიან სასამართლოს შენობაში, მათ შორის სხდომის დარბაზში;

დ) სამუშაოს დაწყების წინ თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებულ პირთა ტემპერატურის შემოწმება.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრმა და პრეს სამსახურმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყონ:

ა) სარჩელებისა (განცხადებებისა) და სხვა დოკუმენტაციის მიღება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში (მათ შორის თბილისში, ბულაჩაურის ქ. №7ა მისამართზე მდებარე სასამართლოს შენობის მოქალაქეთა მისაღებში) განთავსებული სპეციალური ყუთის მეშვეობით;

ბ) ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისათვის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის მიმართვისას ისარგებლონ დისტანციური სერვისებით, მათ შორის სასამართლო საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სერვისით ([www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)) და საქართველოს ფოსტით;

გ) სასამართლოს ვიზიტორებისათვის (მოქალაქეებისათვის) ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ თავი შეიკავონ სასამართლო პროცესებზე დასწრებისგან, გარდა განსაკუთრებული და გადაუდებელი აუცილებლობისა, რა დროსაც მოქალაქე სასამართლოში უნდა გამოცხადდეს თანმხლები პირების გარეშე, ზუსტად მისთვის განსაზღვრულ დროს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებული პირი, რომელიც არის ორსული, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებები, დიაბეტი, ონკოლოგიური დაავადებები) მქონე ან/და 60 წელზე მეტი ასაკის

დასაქმებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან/მენეჯერთან შეთანხმებით, გადავიდეს დისტანციური მუშაობის რეჟიმზე.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებული ის პირები, რომლებსაც სამუშაოს შესრულება შეუძლიათ დისტანციურად, სასამართლოს თავმჯდომარესთან/მენეჯერთან შეთანხმებით გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. სხვა დასაქმებულებს უფლება მიეცეთ სამუშაო კვირის განმავლობაში თავისი უფლებამოსილებები შეასრულონ დისტანციურად, სასამართლოს მენეჯერის - მიერ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად. დისტანციური შრომის რეჟიმი არ შეეხება იმ დასაქმებულებს, რომელთა დისტანციური შრომის რეჟიმი შეაფერხებს სასამართლოს საქმიანობას და ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური შრომის რეჟიმში მყოფი დასაქმებული ვალდებულია მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სამსახურში.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებულს, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, ვისაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი, ასეთი კონტაქტის ქონიდან 12 კალენდარული დღის განმავლობაში აკრძალოს სამსახურში გამოცხადება. ამასთან, სამსახურში გამოუცხადებლობის კონკრეტული მიზეზი აცნობოს და დაკავშირებული დოკუმენტები წარუდგინოს სასამართლოს თავმჯდომარეს/მენეჯერს.

7. საქმეთა განაწილების მიზნებისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა თვითიზოლაციაში ყოფნა ჩაითვალოს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-4 მუხლის, მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად. საჭიროების შემთხვევაში, საგამონაკლისო წესით მოსამართლეს უფლება აქვს საქმის განხილვა განხორციელოს თავისი ადგილსამყოფელიდან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8. შეიზღუდოს თბილისის საქალაქო სასამართლოში დაგეგმილი საჯარო ღონისძიებები, შეხვედრები, სასწავლო ვიზიტები, მოქალაქეთა მიღება, ასევე მოხდეს სამსახურებრივი მივლინებების გადადება, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.

9. ეთხოვოს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობის აღდენამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თანაშრომელთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

10. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 16 სექტემბრის, №26-ს §01 ბრძანება „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

12. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს მის გაუქმებამდე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სერგო მეთოფიშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს  
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

